# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1157

დამატების № 204

კვირა, 6 აპრილი 1914 წ.

F 7/3 ა 14545



ქრისტე გეთსიმანიის ბაღში.—ნახატი მეტოსი.

## ტყუპთა სავანე

დალალული და უგუნებო ვბრუნდებოდი სანადირო ბინაზე. შორს გამიტაცა ნათოფარმა ნადირმა, რომლის ასავალ-დასავალი ჩემმა ნაცადმა ელვარამაც კი ველარ მიიცვლია.

ანკარა მდინარის პირად ჩამოგორებულს ლოდზე მივწექ დასასვენებლად და ძილმორეული თვალით გავსცქეროდი ხრამს, გაღმა უზარმაზარს პიტალო კლდეს, რომელიც ჯებირივით ზღუდავდა ჩამობნელებულ ხევს.

თვალუწვდენ სიმაღლეს აზიდულიყო იგი წვეტიანი, დაჩენჩხილი წვერვალით; ქარსა და ავდარს უთვალავ ნაპრალად დაელარა მისი ჩაშავებული ცხვირ-პირი; ალაგ-ალაგ ლოდები გამოსცლოდა და ღიადშთენილი ღრუები მიცვალებულის გამოჭმულ თვალივით გამოიყურებოდნენ.

საშიში იყო და მიუდგომელი.

მხოლოდ შავი ხავსი და მოქნილი სურო ჰმოსავდა მის დასახიჩრებულ სიტიტვლეს და ფრთა მარდნი შევარდნებიც წივილ-კივილით ასქდებოდნენ ნაპრალთა დანასავით გალესილ კიდეთ.

იქვე, ჩემს გვერდით, ხავსიან ქვას ზურგით მიყრდნობილი, იჯდა ჩემი ძველი მეგობარი, მოხუცი ბერო და, ჩიბუხის მადიანი ბოლებით, მიამბობდა იმ საშინელი კლდის ძველის-ძველ ამბავს.

მიყვარდა ბეროს ტკბილი მუსაიფი: კარგს მონადირესთან ერთად, იგი მოსწრებული და დაკვირვებული ადამიანიც იყო. ორმოცი წლის ამბავს ისეთი დალაგებითა და ზედმიწევნით მოგითხრობდა, თითქოს გუშინდელი ყოფილიყო. მისი სიტყვა—მოქნილი როგორც თასმა და ფერადი-ვით გაზაფხულის ყვავილები—ნამდვილი პოეტის სიტყვა იყო. ბევრი რამ ღირს სახსოვარი მსმენია მისგან იმ უბერებელ მზეთუნახავის შესახებ, რომელსაც მთას ეძახიან. ახლა ველარსად შეხვდებით ისეთებს, როგორიც ბერო იყო: მთამ ქალაქის გზა ისწავლა.

გულალმა მწოლარე ვუსმენდი მის უბრალო მოთხრობას, რომელიც საამო ნანასავით ერთვოდა ყურს და მოდუნებულ სხეულს ტკბილი რულისკენ იწვევდა.

— დიახ,—ამბობდა მოხუცი—ძმები იყვნენ, ტყუპები; ერთს შაქრო ერქვა, მეორეს თაფლო. განგებას დედის წიაღშივე საშინელი სასჯელი დაედვა მათთვის, რადგან იგინი ნაყოფი იყვნენ ქურდული სიყვარულისა: ერთფერი და ერთნაირი იყვნენ თურმე, როგორც ფეტვის ორი მარცვალი. აი, იმ კლდეზე ქვას ამტვრევდნენ, ზურგით აჰქონდათ საქორიის ციხე-კოშკებზე, რომელთა ნანგრევი დღესაც მოსჩანს მიუვალ კონცხზე, და იქ ასაღებდნენ.

მარტონი იყვნენ. მათ არ ახსოვდათ არც დედის ტკბილი ალერსი, არც მამის მზრუნველობა; იცოდნენ მხოლოდ, რომ ძმები იყვნენ. სოფელ-ქვეყანას მოწყვეტილნი, ერთმანეთის ნუგეშსა და სიყვარულში ჰპოებდნენ სიხარულს. ლუკმას იპრობდნენ პირიდან და ერთმანეთს უზიარებდნენ; მუდამ ერთად იყვნენ განუშორებლად, ჭირსა და ლხინში ერთად შეკრულნი, შემტკიცებულნი; რომელიმეს მათგანს რომ უბრალოდ ფრჩხილი ასტკივნოდა, მეორე უსაზღვრო მწუხარებას ეძლეოდა; სულში იძვრენდნენ, თავს ევლებოდნენ ერთმანეთს; ერთად წვებოდნენ და ერთადვე დგებოდნენ, თითქოს განგების უცნობ წადილს დედის წიაღში ტყუპობა არ ეკმარებინა მათთვის და ამ ქვეყნადაც დაუღლვილივით ერთად ყოფნა დაეკისრებინა.

უფსკრულს გადაშვერილს კონცხზე ედგათ ეული ქოხი, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ შეუბრალებლად სწიწკნიდა მრისხანე ქარ-ნიავი. მტრედის ფერ განთიადისას ფრთხილად დაჰკიდებდნენ ხოლმე კლდეზე კატა-ბარდით დაბმულ გოდრებს, რადგანაც სხვა გზით ვერ მიუდგებოდნენ ქვას სამტვრევად, ჩასხდებოდნენ შიგ და ქანაობით სცემდნენ წერაქვს შავი კლდის მკერდს. მხოლოდ მზის გადახრისას შესწყვეტდნენ ხოლმე მუშაობას. ჯიხვის ფრთხილი ნაბიჯით აჰყვებოდნენ ჩაკბილულ სიპს და, მთელი დღის განუწყვეტელი შრომით დაქანცულნი, ძმურ საუბარში იქარვებდნენ დაღლილობას. დაბინდებამდე ისხდნენ ხოლმე იგინი ქოხის წინ, კლდის თავზე, და თვალგაშტერებით უცქეროდნენ შორეული მთების წვერვალებს, რომელთა მწვანე გვირგვინს ოქროთი ავარაყებდა ჩამავალი მზე. ლურჯი სივრცე უსაზღვრო სამყაროისა ანდამატივით იზიდავდა მათს თვალს სულ შორს, შორს, მთათა გადაღმა, სადაც, მათის წარმოდგენით, თავდებოდა შავი დედამიწა და იწყებოდა კიდე—უჩინარი ლილის ფერი ზღვა. საქორიის მიუვალი ციხითა და საკუთარი ქოხით იფარგლებოდა მათი ხილული ქვეყანა.

— ნეტავ, იმ ზღვას იქით რაღა უნდა იყოს?

ერთსა და იმავე დროს ხშირად იტყოდნენ ხოლმე იგინი და რადგან ამის პასუხს ვერც ერთი ვერ ჰპოულობდა, უნებურად უფრო ახლოს მიიწევდნენ ხოლმე ერთმანეთთან; მაშინ იგინი უფრო ნათლად გრძნობდნენ, თუ რამდენად ობოლნი არიან ცის ქვეშე და რაოდენ ძლიერ უყვართ ერთმანეთი.

დაბინდებისას, დაჰკრავდა თუ არა ციხის სადარაჯო კოშკიდან გუშაგთა საყვირი, ტყუპები ქოხს მიაშურებდნენ, საჩქაროდ გადაჰყლაპავდნენ ღარიბ ლუკმას და მაშინვე ძილს მიეცემოდნენ, რათა დილა-ადრიან კვლავ შესდგომოდნენ სამძიმო შრომას.



ალსრულდა!..

მათი მარჯვე წერაქვისაგან საზარლად ჰკვნესდა და ირღვეოდა სალი კლდის გული, ხოლო საქორიის ციხის ზღუდე თან და თან სულ მაღლა მიიწევდა. გალავნის დასრულებისას გათავდებოდა მათი კირთებაც

ასეთი იყო მათი ყოფა.

ერთხელ თურმე, იმ დროს, როდესაც ვარსკვლავნი ჰქრებიან, ძმებმა აიკიდეს ზურგზე ქვით სავსე გოდრები და ჩვეულებრივად გაუდგნენ გზას საქორიისკენ. ციხემდე კარგა მანძილი იყო, სავალიც აღმართი და ხორხიანი.

ზე, ის იყო, ამოიწვერა, როდესაც ტყუპებმა მიაღწიეს ციხის გალავანს და შესდგნენ დასასვენებლად. შესდგნენ და... უეცრად გაჰქვავდნენ:

გალავნის სარტყელზე, ხალასი მზის სპეტაკ სხივთან მთლად ოქრომკედში ჩასმული, იდგა ახალგაზდა ქალი და ხელგაშლილი შესცინოდა ამომავალ მზეს.

გაკვირვებულნი, ვით ბავში უცხო სათამაშოს დანახვით, უცქეროდნენ იგინი უცხო ასულს და არ იცოდნენ, რა ექნათ. იმ არემარეში, სადაც მხოლოდ გაველურებულ მეომრებსა და უთვისტომო მონებს ედვათ საუფლო, ქალის გამოჩენა დიდი უბედურების ნიშანი იყო თურმე: მტრის შემოსევის დროს, დიაცთა მეოხებით, მეციხოვნეთა ბასრი ხმალი ხშირად დაჩლუნგებულა თურმე; ამიტომ მეომრებს უბიწოების მტკიცე აღთქმა დაედვათ. მას შემდეგ საქორიის მიდამოებში ქალი ველარ გაიჭაჭანებდა.

— ჰხედავ?

ჩურჩულით წაულაპარაკა თურმე ძმას შაქრომ.

— სულდგმულია?!

— ქალი უნდა იყოს!

შიშითა და კრძალვით მიუგო შაქრომ.

— გალავანზე!?

— ფათერაკის ნიშანია!

ქალი კი ისევ მზეს შესცინოდა. გიშრის შლილ თმას ხან მარცხენა ხელით წამოიშლიდა, ხან მარჯვენათი, თითქოს თვალს იჩრდილავს მზის მჭრელ სხივთაგანო; ხან კი მუხლს ოდნავ მოიხრიდა, თმას ლომის ფაფარივით ისევ ბეჭებზე გადაიყრიდა და მკერდ-ღია ერთ ხანს იდგა ქანდაკებასავით. გაუგებარი სიმღერა—ლალადის სიტყვები ხანდაზმით არხევდა მის ჩაწკეპილ ტუჩთა მარჯანს. დილის გულწრფელ ლოცვას თუ უგზავნიდა უხილავსა და უცნაურ ღმერთს, ან, შეიძლება, განახლებულ სიცოცხლის სიხარულით აღტყინებული, უმანკო ცეკვით ეგებებოდა ამომავალ მნათობს.

ძმები იდგნენ უმოძრაოდ.

უეცრად ქალმა პირი იბრუნა და, როდესაც იხილა იგინი, თითქოს შეკრთა.

— ქალო, ვინა ხარ, ან რას ელი აქ?

ჰკითხა შაქრომ.

— არ გეშინიან ციხის დარაჯთა?

დაუმატა თაფლომ.

— რისა უნდა მეშინოდეს?

გულუბრყვილოდ იკითხა მან.

— გუშაგი შეგამჩნევს, ხელ-ფეხს შეგიკრავს და ასისთავს მიგგვრის დასასჯელად!

უთხრა თაფლომ.

— ჰა, ჰა, ჰააა—გულიანად გადიხარხარა ქალმა—ქურციკი ხომ არ ვარ, ხელ-ფეხი შემიკრას? ჩემი ბომბორა არც თუ ისე შორსაა. გესმის?

სერს გადაღმიდან, იქ, სადაც ფრიალო კლდესავით აწყდებოდა ციხის ზღუდე, მოისმა ძაღლის ყეფა. ქალი ხვლიკივით ჩამოცოცდა გალავნის სარტყლიდან, სერზე გადადგა, ორი თითი პირში ჩაიდო და მჭრელად დაუსტვინა. ყეფა უფრო დაახლოვდა; მაშინ ქალმა ხმა მაღლა დაუძახა:

— ბომბორა, ბომბორა!

ცოტა ხნის შემდეგ საჯოგე ბილიკზე გამოჩნდა ენა წავარდნილი, უზარმაზარი რუხი ნაგაზი და ფინთიხივით მიეტია გზის პირად მდგომ ტყუპებს. ცოტაც და, უეჭველად დაჰგლეჯდა მათ, ქალი რომ არ მიშველებოდა.

— როგორია?

სიცილით სთქვა ქალმა.

დარცხვენილი ძმები ერთმანეთს შესცქეროდნენ, ქალი კი ნაგაზს ეალერსებოდა. რა კი დარწმუნდა, რომ მის პატრონს არავითარი საფრთხე ელოდა, ძაღლი დაშოშმინებული ღრენით ქალის ფეხებთან მოისვა, ხოლო უნდო თვალს მაინც არ აშორებდა უცნობთ.

— რას გაშტერდით? ნუ გეშინიათ, ბომბორა აღარას გერჩით!

— მცველი კაი გყოლია, მაგრამ მაინც საშიშია ამ ადგილებში სიარული.

უთხრა შაქრომ.

— არც აგრე ხშირი სტუმარი ვარ აქაურობისა—მიუგო მან—ნისლმა მომატყუა, ფარა გამომეპარა და გზადაბნეული უნებურად ამოვედი.

— ვისი ხარ, ან სადაური?

— მამით მგლისა ვარ, დედით დათვისა, ნათლიებადაც ტურა-ფოცხვერი მყოლია; ვისი ვიქნები?!

ქალის პასუხმა ნათელი ღიმი მოჰგვარა ტყუპებს.

— ენის წვერით ნაკვერჩხალს გამოიტან, თუმცა ტანი მომცრო გაქვს.

მიუგო თაფლომ.

— გეტყობა, გაღმართელი ხარ, უკარებელი!

დაუმატა შაქრომ.

— თქვენ კი ვილა ხართ? ალბად ძმები უნდა იყვეთ, ტყუპ[illegible]

— მერე შენ საიდან იცი?

ქალმა გულიანად გაიცინა.

— როგორ არ ვიცი: ერთს ყალიბში ჩამოსხმულ ტყვიასა[illegible] არც იერი გაქვთ, არც ნიშან-წყალი!

ძმები უნებურად ერთმანეთს დააკვირდნე თურმე. ქალის [illegible] ცინვამ ნემსის წვეროსავით გაუარა მათს გულს.

— ქალო, ღმერთმანი ჭკუიანი უნდა იყო!

ერთხმად წამოიძახა ორივემ.

— ჭკუას მთაში როდი ჰკრეფენ მოცვივით!

იმავე შეუპოვარი კილოთი უპასუხა ქალმა.

— მაშ, თუ აგრეა, ჩვენთან წამო, ვიმუსაიფოთ; გულისკარ[illegible] გაგვიხსნა შენმა ქალობამ.

— ნართის კალათა შინ დამრჩენია, თორემ ერთს [illegible] ბას დამართვევინებდა თქვენი მასლაათი; ჯუფარას თქვენთან სალაყბოდ არა სცალიან; სჯობს, ეგ გოდრები დროზე თავის ალაგს მიიტანოთ, თორემ შუბის ტარზე ამართული მზე შაქარ-ყინულს გაგილხობთ და მერე...

სიტყვა აღარ დაასრულა, დაუძახა ძაღლს და ერთს წუთში ჩაირბინა ფერდობი.

როდესაც ხევის სიღრმიდან მოისმა მისი ხალისიანი სიმღერის ხმა, ტყუპები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს. უგუნებოდ აიკიდეს გოდრები და გაუდგნენ გზას.

— რა ხალისიანი, რა პირმზე და შეუპოვარი რამ იყო—ჰფიქრობდა შაქრო—ნეტავ ვისია, ან სადაური...

— მავნე თუ იყო, შევარდენივით ანაზდად მოფრენილი—ამ[illegible] გულში თაფლო—ნეტამც მის კვალს მიმაგნებინა და სიცოცხლ[illegible] შუა გამიყო...

ასე ჰფიქრობდა თურმე ორივე, მაგრამ ერთმანეთისთვის ვერ გაეზიარებინათ გულის ნადები. მას შემდეგ ძმებს თითქოს რცხვენოდათ ერთმანეთისა, თვალს ველარ უმართავდნენ თურმე ერთი-მეორეს.

ერთხელ ტყუბებმა კვლავ იპოვეს იგი წიფლის ძირს მწოლარე; გულზე ხელდაკრეფილი პირაღმა იწვა იგი და მშვიდად სძინავდა. ლილის ფერი მანდილი პირზე დაეფარებინა, ხოლო ღია მკერდს ოდნავ ათრთოლებდა ქალწულებრივი, თავისუფალი სუნთქვა. ძმები



ბოროტების სიხარული.

იმდენად მოხიბლა ამ სანახაობამ, რომ უხმოდ მიხვდნენ ერთმანეთის ნაზრახს და ველარ გაჰბედეს მისი გაღვიძება.

მას შემდეგ, ძილში, თუ ფხიზლად, ტყუპებს მუდამ უცხო ასული ელანდებოდათ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ჯუფარა კვლავ ეწვია იმ მიდამოს. როდესაც ძმები ნაღვლით იგონებდნენ თურმე პირველი შეხვედრის სიამეს, იგი უეცრად გადმოდგა კლდის თავზე და გამარჯობა ულოცა მათ. მარცხენა მკლავზე ხელ-კალათა წამოეცვა, ძლვნად მოეტანა მწიფე შინდი; ერთს რომ თვითონ შესჭამდა, ორს ტყუპებს ესროდა ძირს, თან ჩვეულებრივი ოხუნჯობით აჯავრებდა მათ.

მალე ისე დამეგობრდნენ, როგორც დიდი ხნის ნაცნობნი. ქალს ჩვეულებად გადაექცა მათთან სიარული, ხოლო ვაჟები გულის ფანცქალით ელოდნენ იმ დროს, როდესაც მათი ტკბილი სტუმარი უნდა გამოჩენილიყო. ყოველს მისვლაზე ჯუფარას თან მიჰქონდა ხილით სავსე კალათა; დასხდებოდნენ ქოხის წინ და მუსაიფობდნენ. მეტწილად ქალი ლაპარაკობდა, ვაჟები კი სულგანაბულნი უსმენდნენ. ვინ იცის, რის შესახებ არ ტიტინებდა თურმე იგი; ერთი პასუხიდან მეორეზე მოულოდნელად გადადიოდა მისი საუბარი, როგორც კაჭკაჭი ტოტიდან ტოტზე. არ დარჩენილა არც ერთი გორაკი, კლდე თუ ნაკადი, რომლის შესახებაც არ ეამბნა მას რაიმე უცნაური და საშინელი ამბავი.

ძმები უსმენდნენ გულდადებით.

უსმენდნენ და მათს ველურ გულში ნელნელა იღვიძებდა ისეთი რაღაც, რომელსაც შანამდე სრულიად დახშული ჰქონდა გამოსავალი. მათ ეჩვენებოდათ, თითქოს ჯუფარას შეხვედრის შემდეგ თვით ჩაკუპრულმა კლდემაც კი ფერი იცვალა, თითქოს მეტი ხალისი და მზე მიეფინა მას. თითოეული მათგანი ნატრობდა მის სიახლოეს, მაგრამ ბედისწერა როდი სწყალობდა თურმე საბრალო მწირთ.

ერთი ხანი იყო ქალმა უკლო სტუმრობას. ახალ მთვარესავით ხან და ხან გამოჩნდებოდა და მაშინაც თითქოს ერიდებოდა მათ სიახლოეს. ელვის ფეთქვასავით თუ შეხედავდა იგი ვაჟებს თვალში, სადაც ავდრის ღრუბლებივით რიალობდა ჟრჟოლის მომგვრელი, ძლიერი ნდომა, ამიტომ ყოველთვის მოხერხებულად ხმარობდა ხოლმე ენამჭრელობას და მით ცდილობდა ვაჟთა გულში დანთებულ კოცონის მინელებას. ძმების ლალგადასმული მზგავსება იყო მისი დაცინვის დაუშრეტელი წყარო. ყოველს ნახვაზე ახალ-ახალი მეტსახელი ჰქონდა ხოლმე მათთვის მზად. ტყუპებს ბრაზით ავსებდა ქალის ასეთი საქციელი.

— ნახშირი მაინც წაისვი რომელიმემ და მაშინ აღარ შემეცვლებით!

ხშირად ეტყოდათ თურმე იგი.

ერთხელ, ქურდულად ამოიღო თურმე უბიდან ფერა-ფერას მარცვალი, რომელიც ადრევე დაეკრიფა, ჯვარედინად წაუსვა შუბლზე თაფლოს და გულამომჯდარი სიცილით გადაირბინა სერი.

როდესაც მას ვერ ხედავდნენ, ძმები დიდხანს ისხდნენ ხოლმე უხმოდ. თითოეული მათგანი ცალკე იკლავდა გულში დაშორების ელდას, რადგან კარგად იცოდა, რომ მისი გამჟღავნება შურსა და მტრობას აღძრავდა ძმის გულში. რამდენადაც სანატრელი შეიქნა მათთვის ქალის სიახლოე, იმდენად უფრო და უფრო შორდებოდნენ ძმები ერთმანეთს, გაჰქრა სამუდამოდ ის ჟამი, როდესაც შრომით წელმოწყვეტილი დასხდებოდნენ იგინი ქოხის წინ და ხელგადახვეულნი გასცქეროდნენ ჩამავალი მზის სხივებით აჩალისფერებულ მთათა წვერვალებს.

მათ შორის მეხივით ჩამოვარდნილმა სქესის მეტოქეობამ გაუვალი ხრამი გასთხარა ძმათა სიყვარულში, რომლის გაღმა-გამოღმა მოაქცია იგინი, ვით უბირნი და გადამთიელნი.

მხოლოდ მაშინ იგრძნეს თურმე მათ თვისი უნიშნო ტყუპობის საშინელება, რადგან ერთნაირის ძლიერებით უყვარდათ იგი ასული.

უბრად დაეშვებოდნენ ხოლმე იგინი წიაპით დაკიდებულ გოდრებზე საშიშ უფსკრულს და უხალისოდ ჰკორტნიდნენ სალ კლდეს. ძვირად, ძლიერ ძვირად თუ ეტყოდნენ ერთმანეთს ორიოდე სიტყვას და მასაც ცალყბად. ღვიძლი ძმები, თანშეზრდილნი, მიუწდომელი ძალის მიზეზით უცხო გახდნენ ერთმანეთისთვის.

ან კი რას ეტყვი შენსავე სახეს, როდესაც სარკეში უცქერ მას! ასეთი იყვნენ იგინი.



იუდა ისკარიოტელი.

მხოლოდ იმ დროს, როდესაც მზის გახურებული ბურთი მთათა წვერვალებს დაექანებოდა დასავლეთისკენ და გრილ ხევებს ლურჯად დაჰბურავდა ნისლნარევი, მქრალი ჩრდილი, ერთი მათგანი მოწყვეტ, თითქმის ჩურჩულით იტყოდა:

— ღამდება!

ეს ნიშანი იყო მუშაობის შეწყვეტისა.

როდესაც მთის წყაროზე მივიდოდნენ პირის დასაბანად და იქ, ანკარა, წყალში, იხილავდნენ თავის უნიშნო სახეს, გულის სიღრმეში უნებურად უცნაური გრძნობა დაიწყებდა ფეთქვას—გრძნობა ერთმანეთის დასახიჩრებისა, რომ მით მაინც საზღვარი დასდებოდა მათს უაზრო იგივეობას.

დიდ ხანს იდგნენ ხოლმე პირისპირ, როგორც საბრძოლველად შეხვედრილი ორი ხვადი ლომი და უხმოდ ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

— განა არ იცი, რომ შენ საშინელი განმეორება ხარ ჩემი და, მაშასადამე, უაზრო და უსარგებლო ტყუპიო.

ამიტომ მათ შესძულდათ ერთმანეთი, შესძულდათ ისე, როგორც ერთს კოლოფში მომწყვდეულს ორ მორიელს.

ჯუფარას სიყვარული გადაიქცა იმ საბედისწერო სარკედ, რომელშიაც მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჩაიხედავს ადამიანი. ტყუპებმაც უეცრად ჩაიხედეს შიგ და შეძრწუნდნენ; შეძრწუნდნენ, რადგან სწორედ მათი განუწევრებელი იგივეობა იყო მიზეზი მათი ტანჯვისა. ხშირად საშინელი გმობით მიმართავდნენ თურმე იგინი ზეცას, რომელმაც ერთ სახედ შვა ორი ქმნილება და დედის წიაღშივე არ დასდვა მათ შორის რაიმე საზიზღარი ხინჯი ერთმანეთის გასარჩევად; წყევლითა და კრულვით იხსენიებდნენ უცნობ დედასაც, რომელმაც აკვანშივე არ ამოსწვა ერთ-ერთს მათგანს თვალი ან ცხვირი, რათა გარეგანი ნაკლი მაინც დარჩენილიყო სამუდამო დაღად.

ასეთ ყოფაში მიჰქრიან დღენი, ხოლო შურით გადაკიდებულ ძმებს სიცოცხლე უმძიმდებათ. ლურჯი სამყარო ვიწრო შეიქნა მათთვის. ყრუდ გაისმის მორღვეულ ლოდ... ხრიალი მიყუჩებულს ხევში, ხოლო წერა... ცემას აყოლებული ნაღვლიანი ღიღინი ... იქით აღარ ისმის; თითოეული მათგან... ვისთვის მღერის გაუგებარ ჰანგს, რო... არც სიტყვებია გარკვეული, არც ... თუმცა იმ სიმღერაში ერთსაც და მე... მკაფიოდ ესმის გულს ჩამარხული ს... ნატვრა:

„ოჰ, ნეტამც მაგ ლოდთან ერთ... ჯებოდეს შენი გოდორიც და სამუდამოდ შთაინთქებოდე პირლია უფსკრულშიო“.

ერთხელ თურმე თაფლო მარტოდ-მარტო მიჰკვრია კლდეს და მუშაობს. მის გვერდით ჩვეულებრივად აღარ ქანაობს შაქროს გოდორი. ერთი ხანია მოსისხლე ძმა სადღაც დაიარება. თუმცა თაფლომ ვერ გაიგო მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ მაინც კარგად იცის, თუ რა იზიდავს მას ტყე-ღრეში საწანწალოდ. მას შემდეგ, რაც ჯუფარამ აღკვეთა მათთან სიარული, შაქრო გაწუწკებულ თხასავით მუდამ სადღაც დაიპარება—ალბად ჯუფარას ეძებს. ვინ იცის, იქნებ ხშირადაც ნახულობენ ერთმანეთს! აი, ჯუფარა ფეხმოკეცილი ზის სადმე, დაჩრდილულს ხევში, და ჩვეულებრივი ტკბილი ღიღინით სწნავს ფურუსულას სუნელოვან გვირგვინს თავის შესამკობად, შაქრო კი მხარ-თეძოს წამოწოლილა, გახურებული თავი მის კალთაში ჩაუდვია და უსმენს, თან სიამით იზმორება...

თაფლოს გული მკბენარი შურით ივსება.

— შაქრო ძმა კი არა, ქურდია—ჰფიქრობს იგი—ქურდია, რომელმაც ავაზაკურად გასტეხა მყუდრო ტაძარი და საკურთხეველზედვე შებილწა წმინდა საუნჯე. იგი ღირსია ზიზღისა. არა, შურისძიებისა! ზიზღი ცოტაა მისი ცოდვის გამოსასყიდად: მან ნიშიდან ჩამოაგდო ღვთიური ხატი, რომელსაც თაფლო მოწიწებით ევედრებოდა თვისი ობლობის შეწყალებას, და ღვარძლიანი სიხარბით მიისაკუთრა. მოღალატე ძმამ მოჰპარა მას ის თვალბრიალა მზე, ჩამობნელებულ კლდის თავზე რომ გადმოდგებოდა ხოლმე და წითელი სიხარულით ჰლებავდა თაფლოს გულს. დიახ! ძმამ მოჰპარა და იმიტომაა, რომ ახლა სქელი ნისლი ახვევია მას გარშემო და მზეც აღარ ანათებს!..

გაღმიდან მოისმა ძაღლის გაბმული ყეფა.

— ეს ბომბორაა!

გაივლო გულში თაფლომ.

— ალბად შაქროც იქაა, ჯუფარასთან... ერთად არიან და ჰიკჰიკობენ. ოოჰ!..

თაფლო შავს ფიქრს ეძლევა.

— შურისძიება!

უეცრად გაუელვა თავში.

— შურისძიება, შურისძიება!

ხმა მაღლა გაიმეორა მან და მყის გაახსენდა ოდესმე ჯუფარასაგან ნათქვამი სიტყვები: „როდესაც ჩემი ბომბორა ორს ერთნაირ ლეკვს დაჰყრის, ერთ-ერთს შევაწოვებინებ, მეორეს-კი ხრამში გადავაგდებ—ხოლმეო“.

გულს რაღაც იმედი მოეფინა, მძიმე და შიშნარევი.

კარგა ხნის შემდეგ შაქროც გადმოდგა თურმე კლდეზე. გოდორი გადმოჰკიდა, წერაქვი წელში გაირჭო და ფრთხილად დაჰყვა ჩაკბილულ კლდეს. მორიდებით მიუახლოვდა გასავალ ქვას, რომელზედაც ძმა იდგა. თაფლოს გულისცემა წერაქვისას აყრუებს, სხეული ციებიანივით უკანკალებს, თვალი უბნელდება.

— სწორედ ახლა, სწორედ ახლა—უხმოდ იმეორებს იგი და ხელს უჭერს წერაქვის ტარს—ასეთ მოხერხებულ დროს ველარ შევურჩევ!

— რას მიბღვერ შემპარავ ძაღლივით—წაიბუზღუნა მოსულმა —გზა მომეც, გოდორს მივსწვდე!

თაფლომ წერაქვი შეაჩერა.

— სად დაეხეტები? ამ დროს მუშაობას ათავებენ, შენ კი...

— მერე შენ რა გრჯის ჭკუის სწავლებას?

ფიცხლად გააწყვეტინა შაქრომ.

ბრაზის გორგალი ყელს მიებჯინა თაფლოს. ძმებმა თვალი თვალს გაუყარეს—საშინელი, შურისძიებით გაყვითლებული თვალი.

— განა არ ვიცი, სად დაწანწალობ?!

— გზა—მეთქი!

ხრინწიანი ხმით ძლივს მოახერხა. მის სახეზე ქარვა ილანდებოდა.

სიჩუმე, მკვდრული და მძიმე, როგორც ქარიშხლის მომასწავებელი.

უეცრად ჰაერში გაიწივლა წვეტიანმა წერაქვმა. წუთიც და ტყუპთა უსაზღვრო რისხვით აკანკალებული ხელები მჭიდრო რგოლებად გადაეხვნენ ერთმანეთს...

—

ამაოდ ეწვეოდა ხოლმე ჯუფარა ნაცნობ ადგილს: არც ეულად შთენილ ქოხს და არც ჩაკუპრულ კლდეს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ემჩნეოდა. გულზე ხელდაჭდობილი გადმოდგებოდა იგი უფსკრულის თავზე და სასოწარკვეთილებით ეძახდა ხან ერთს, ხან მეორე ძმას, მაგრამ პასუხი აღარსად იყო. მხოლოდ შევარდენთა საზარელი წივილ-კივილი ისმოდა იქ, სადაც წინად მორღვეულ ლოდთა ხრიალი აყრუებდა მიდამოს. მაშინ უმწეოდ დაჰკიდებდა იგი თავს და მის თვალთა მაყვალს მძივივით სცვივოდა მსხვილი ცრემლი.

ვინ იცის, რომელ მათგანს სტიროდა იგი! მას შემდეგ, მავნედქცეული, დაძრწის ჯუფარა უგზო-უკვლოდ მთასა და ხევში. მას განუყრელად თანა სდევს თვისი ერთგული ბომბორა. უმთვარო ღამეს, იმ დროს, როდესაც ბალახიც კი მოიხრის ხოლმე თავს მოსასვენებლად, თმა გაწეწილი გადმოდგება თურმე იგი კლდის თავზე და ხრინწიანი ხმით კვლავ უხმობს დაღუპულ ძმებს; უხმობს და თან უნუგეშოდ ჰქვითინებს. მის ძახილზე შამბნარიდან ნელ-ნელა დგებიან ტყუპთა ხრწნილებისაგან დასახიჩრებული გვამები და კვლავ იბრძვიან: მამლის პირველ ყივილამდე სასტიკად სცემენ ერთმანეთს წვეტიან წერაქვს. საშინელი იარაღის ყოველს დაკვრაზე თითო ქვა სცვივა შავი კლდის მკერდს და ჩალიხვით ეყრება უსამაროდ-შთენილ გვამებს, რომ ლოდთა სიმძიმეს ველარ წამოუდგეს ტანჯულთა სხეული და მით საზღვარი დაედვას ტყუპთა სამარადისო დავას.

ამბობენ—დაუმატა მოხუცმა ბერომ—სანამ მათს საფლავზე დაყრილი ხორხი საქორიის ციხის გალავანს არ გაუსწორდება, მანამდე არც ძმათა საშინელი ბრძოლა გათავდებაო.

1914 წ. მარტი. ა. ჭუმბაძე.



?

ფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.